ევროკავშირის როლი და კონფლიქტები სამეზობლოში: აფხაზეთი, ოსეთი საქართველო და დნესპრისპირეთი მოლდოვა

ლაშა ვაშაკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბერუჩაშვილი სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი,

2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ლაშა ვაშაკიძე

02.06.2015

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს ევროკავშირის როლს საქართველოსა და მოლდოვის კონფლიქტებში, კერძოდ კი აფხაზეთის, ოსეთისა და დნესპრისპირეთის

კონფლიქტებს. თემის ფარგლებში მიმოვიხილავთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, სტატიებს, ინტერვიუებს, მოსაზრებებს, რაც დაგვეხმარება ჩვენი **საკვლევი კითხვის** პასუხის გასაცემად,პირველი თუ რა იყო ამ კონფლიქტების წარმოშობის მიზეზი და მეორე თუ რა როლი მიუძღვის ევროკავშირს კონფლიქტების მოგვარებაში.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს კონფლიქტების წარმოშობის კონკრეტული მიზანი და მისი შესაძლო მოგვარების გზები, ასევე რა ადგილი უჭირავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს კერძოდ ევროკავშირს ამ კონფლიქტებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროკავშირი ჩართულია საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ადრეული 1990-იანი წლებიდან. ის მონაწილეობდა ძირითადად ჰუმანიტარული, სარეაბილიტაციო და ნდობის აღდგენისაკენ მიმართული აქტივობებით. ევროკავშირი ასევე მონაწილეობდა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში. თუ რა სახით არის ჩართული ეს ყველაფერი დეტალურადაა აღწერილი ჩემს სამაგისტრო ნაშრომში.

რაც შეეხება დნესპრისპირეთს, კონფლიქტი დნესტრისპირეთის რეგიონში წარმოადგენს „გაყინულ“ კონფლიქტს, რომელმაც ძალალდობრივი ხასიათი მიიღო 1992 წელს, როდესაც ეთნიკურ და ენობრივ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოლდოვური და დნესტრისპირეთის შეიარაღებული ძალები. 1993 წლიდან იწყება მედიაციის პროცესი ეუთოს(ევროპის უსაფრთხოებისა და თანამეგობრობის ორგანიზაცია), რუსეთისა და უკრაინის დახმარებით. მოლაპარაკებების პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა 2002 წელს, როდესაც მედიატორებმა დაპირისპირებულ მხარეებს შესთავაზეს კიევის დოკუმენტი,რასაც არ მოჰყოლია საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. 2007 წლიდან მედიაციის პროცესში აქტიურად ჩაერთო ევროკავშირი, როდესაც რუმინეთი გახდა მისი წევრი და დაუმეზობლდა მოლდოვას.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან აფხაზეთსა და ოსეთის რეგიონი კვლავ კონფლიქტური ზონაა, რომელიც ''დამოუკიდებელ სახელმწიფოებად'' აღიარა რუსეთმა.

ანალოგიური სიტუაციაა მოლდოვაშიც დნესტრისპირეთის კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია მონაწილე მხარეების შეუთანხმებლობის გამო. რუსეთი ცდილობს დნესტრისპირეთის მოსახლეობით მანიპულირებას და ამ გზით მოლდოვაზე გავლენის შენარჩუნებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები:
ევროკავშირი,საქართველო,მოლდოვა,კონფლიქტი,კონფლიქტის მოგვარება,რუსეთის ფაქტორი,კონფლიქტური რეგიონები,სამშვიდობო მისიები.

Abstract

Master's thesis examines the role of European Union in conflict between Georgia and Moldova, specifically, conflicts of Abkhazia andTrans-Dniester. Within the topic, we will discuss existing references, articles, interviews and opinions about abovementioned topic that will definitely lead us to the answer to the most quintessential questions of the research: first, what was the root cause of arising this conflict and second, what is the role of European Union in resolving this conflict. The main goal of the research is to investigate the specific purpose of emerging the conflict and its possible solutions, furthermore, to explore what is the role of international organizations and specifically, EU in aforementioned conflicts.

The research has ascertained that European Union has been involved in peaceful settlement of conflicts since 1990s. It participated mainly in humanitarian, rehabilitation activities and confidence building measures. EU also participated in peace negotiations. My master's thesis describes the details of all these involvements.

As for Trans-Dniester, conflict in that region is a frozen conflict that turned into violent confrontation betweenthe armed forces of Moldova and Trans-Dniester due to the ethnical and

language reasons. Since 1993, the mediation process has been launched with the help of OSCE (Organization for Security and Co-operation in Europe), Russian federation and Ukraine. Negotiation process turned into an active phase in 2002, when mediators proposed Kiev document that did not solve the issue once and for all. Since 2007, European Union has actively been involved in mediation as Rumania became member of EU and neighbor of Moldova.

Abovementioned research is of an outstanding importance because Abkhazia and region of Ossetia still remain as conflict zones that were recognized as independent countries by Russia.

Situation remains the same in Moldova where the Trans-Dniester conflict is unsolved due to lack of agreement between opposing sides. Russia tries to manipulate with Trans-Dniester inhabitants and through that remain influential.

Key Words:

European Union, Georgia, Moldova, conflict, resolving the conflict, Russian factor, opposing regions, peace missions.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს ასისტენტ - პროფესორს თამარ ბერუჩაშვილს. მისი გვერდში დგომა, რომ არა შეუძლებლი იქნებოდა ამ ნაშრომის მომზადება.

მადლობას ვუხდი მას ამ ხნის განმავლობაში პროდუქტიული თაანამშრომლობისათვის. მისი კომპეტენტური და პროფესიონალური რჩევები

დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვაში. გულწრფელად მოხარული ვარ, რომ სამაგისტრო ნაშრომის მომზადება მომიწია ქალბატონ თამართან. მისი ხელმძღვანელობით საშუალება მომეცა მასთან ერთად მემუშავა სამი თვის განმავლობაში.

ნაშრომის დასაწერად საჭირო მასალის მოგროვება, კვლევისთვის გამოსაყენებელი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება, უამრავ კითხვაზე შესაბამისი პასუხი - ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ჩემი ხელმძღვანელის აქტიურობა და მხარდაჭერა.